



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #66 ივლისი, 2018

გამოშვებაში

გაეროს უახლესი კვლევის მიხედვით, ელ-მმართველობის განვითარების დონით საქართველო რეგიონის ლიდერია

1
გაეროს უახლესი კვლევის მიხედვით, ელ-მმართველობის განვითარების დონით საქართველო რეგიონის ლიდერია


2
ელექტრონულ დოკუმენტებზე ელექტრონული ხელმოწერისა და შტამპის გამოყენება სავალდებულო გახდა



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2018 წლის ელ-მმართველობის კვლევის მიხედვით, საქართველო ელ-მმართველობის განვითარების ინდექსით როგორც რეგიონის, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერის

პოზიციაზეა. ამ მაჩვენებლით საქართველო უსწრებს რუმინეთს, უზბეკეთს, ყირგიზეთს; აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის კი ბელორუსიასთან ერთად ლიდერია და უსწრებს მოლდოვას, უკრაინას, აზერბაიჯანსა და სომხეთს.

„ნიშანდობლივია, რომ ის ქვეყნები, რომლებსაც ელ-მმართველობის მაღალი ინდექსი აქვთ, სოლიდურ რესურსებს ხარჯავენ ამ მიმართულებით. საქართველოს ამ მხრივ გაცილებით მწირი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ნაჩვენები შედეგი შთამბეჭდავია, რაც იმ ფართომასშტაბიანი სამუშაოს შედეგია, რომელსაც საქართველოს მთავრობა სხვადასხვა უწყების აქტიური ჩართულობით ახორციელებს. აღნიშნული წარმატება კიდევ ერთხელ თვალნათლივ აჩვენებს, რომ საქართველო ელ-მმართველობის განვითარების თვალსაზრისით სწორ გზაზე დგას და ეს მიმართულება ჩვენი ქვეყნის მდგრად განვითარებასაც უზრუნველყოფს“, - აღნიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარემ, ნიკოლოზ გაგნიძემ (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge

my.gov.ge

www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელექტრონული მმართველობის მსოფლიო ინდექსის მიზანია გაზომოს კონკრეტული ქვეყნის წარმატება ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციონალურ მოწყობაში, პოლიტიკის განსაზღვრასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. აღნიშნული ინდექსი ორწლიანი ინტერვალებით ქვეყნდება.

„2018 წლის კვლევაში რამდენიმე საყურადღებო დეტალია, რომელიც საქართველოს წინსვლაზე მიუთითებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ საქართველო, სხვა 51 ქვეყანასთან ერთად, დაჯგუფებულია რა ე.წ. საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების კატეგორიაში, ჩვენი ქვეყნის ელ-მმართველობის ინდექსი ეკონომიკური განვითარების აღნიშნული კატეგორიისთვის დამახასიათებელ ინდექსს სცილდება და გაცილებით მაღალია. ზოგადი ტენდენციაა, რომ არსებობს პოზიტიური თანხვედრა ეკონომიკურ განვითარებასა და ელ-მმართველობის განვითარების ინდექსს შორის. ამ მხრივ კი, როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს - მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური განვითარების დონით ვართ საშუალოზე დაბალი შემოსავლის ქვეყნების კატეგორიაში, ჩვენი ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი არის გაცილებით მაღალი (HIGH EGOVERNMENT DEVELOPMENT INDEX) და ჩვენ აღნიშნულ 51 ქვეყანას შორის ვლიდერობთ“, - დასძენს ნიკოლოზ გაგნიძე.

ამა თუ იმ ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების საერთო დონის შეფასებისას საქართველო 2010 წლის მონაცემებთან შედარებით 2012 წელს 28 საფეხურით დაწინაურდა და 193 ქვეყანას შორის მე-100 საფეხურიდან 72-ე ადგილზე გადაინაცვლა; 2014 წელს 56-ე ადგილი დაიკავა; 2016 წელს 61-ე, ხოლო უახლესი 2018 წლის კვლევის მიხედვით კი მე-60 საფეხურზეა.


აღსანიშნავია, რომ ელ-მმართველობის განვითარების მხრივ ძირითადად ევროპული სახელმწიფოები ლიდერობენ. გაეროს ელ-მმართველობის ინდექსის ისტორიაში პირველად დაფიქსირდა საგრძნობი წინსვლა ონლაინ სერვისების სწრაფი განვითარების ხარჯზე მსოფლიოს ყველა რეგიონში და ყველა საშემოსავლო კატეგორიის ქვეყანას შორის. ელექტრონულ სერვისებს შორის ყველაზე ფართოდ გვარცვლებულია კომუნალური გადასახადების გადახდა, გადასახადების დეკლარირება და ახალი ბიზნეს სუბიექტის რეგისტრაცია.

ელ-მმართველობის განვითარების გლობალური ინდექსის მიხედვით პირველ სამეულში არიან დანია, სამხრეთ კორეა და ავსტრალია.

ელექტრონულ დოკუმენტებზე ელექტრონული ხელმოწერისა და შტამპის გამოყენება სავალდებულო გახდა

თანამედროვე სამყაროში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ელექტრონული სერვისები. მნიშვნელოვანია ქაღალდის დოკუმენტრუნვის შემცირება და დოკუმენტაციის დაცულობის ხარისხის ამაღლება.

2018 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, ასევე მე-11 მუხლი.



ამ კანონის თანახმად, თუ ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმას აირჩევს და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ხელმოწერას ან/და შტამპს საჭიროებს, სავალდებულოა დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) ამასთან, მოქალაქის პორტალზე (MY.GOV.GE) ბიზნესსუბიექტებისთვის განკუთვნილ სექციაში იურიდიული პირებისთვის დროებით, პორტალის ახალი ვერსიის გაშვებამდე იზღუდება ბიზნესის მხარეს მიმოწერის ფუნქცია, თუმცა აღნიშნული ქმედების განხორციელება კვლავ შესაძლებელია ფიზიკური პირის ანგარიშიდან.

დღემდე საქართველოში დანერგილი იყო კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც განკუთვნილი იყო ფიზიკური პირებისათვის. დღეიდან კვალიფიციური სანდო მომსახურება, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სახით, უკვე ორგანიზაციებისთვისაცაა ხელმისაწვდომი.

კვალიფიციური ელექტრონული შტამპი ორგანიზაციას საშუალებას აძლევს: შექმნას მომხმარებლებზე ორიენტირებული დისტანციური პროდუქტები, უსაფრთხოების და სანდოობის უმაღლეს სტანდარტებზე დაყრდნობით; განახორციელოს ისეთი, ტრანზაქციები რომლებიც აქამდე უსაფრთხოების თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველად ითვლებოდა; ამოიღოს ქაღალდი საქმისწარმოებიდან, დაზოგოს დრო და რესურსები.

„კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების დაკანონება მნიშვნელოვანი მოვლენაა ე.წ. „ციფრული საქართველოს“ განვითარების გზაზე. ეს ნიშნავს, რომ ტექნოლოგიური განვითარების დღეს არსებული ნიშნული უკვე გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კერძო, თუ იურიდიულ პირს მივცეთ შესაძლებლობა საკუთარი ნება გამოხატოს ელექტრონულად და ორგანიზაციებმა გამოიყენონ ელექტრონული შტამპი. ეს ყოველივე შედეგია იმ დიდი სამუშაოს, რომელიც სხვადასხვა უწყებამ გასწია როგორც ტექნოლოგიური პლატფორმის, ისე იურიდიული ბაზის შექმნის საქმეში“, - ნიკოლოზ გაგნიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და შტამპის სისტემის უსაფრთხოება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებითაა უზრუნველყოფილი.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: